ხელშეკრულება № 115

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 17 დეკემბერი 2012წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "განთიადი" (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის ოთარ დაბრუნდაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "გრანდ–თრეიდი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის მამუკი ტლაშაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია გრანტით, ხელსაწვოები,საკეტები, გასაღებები, დამჭერები, ჯაჭვები,ზამბარები/რესორები.(CPV კოდი:44500000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს" ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი:

№	საქონლის დასახელება	დანაყოფის კოდი	რაოდენობა და განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	შპატელი 125მმ	44512000	4ც	2,50	10
2	ლილვაკი სახელურით	44512000	4ც	7,20	28,80
3	სამღებრო ლილვაკი	44512000	5ც	4	20
4	შპატელი უჟანგავი თაბაშ. 150მმ	44512000	3ც	2,50	7,50
5	ქვის საჭრელი დისკი დ125ს	44512100	2ც	8	16
6	მოსაბათქაშებელი ქაფჩა (სახეხელა)	44512000	5ც	8	40
7	ლურსმნის მომძრობი გელა	44512000	2ც	11	22
8	საჭრელი ქვა 125*1მმ	44512100	10ც	1,80	18
9	რკინის საჭ. ქვა 125*1,6	44512100	10ც	1,80	18
10	ბურღი პაბედიტის 8მმ	44512800	5ც	3	15
11	ბრტყელტუჩა 6მმ (მკვნეტარა)	44512200	6ც	5	30
12	მალა კბილებიანი	44512000	5ც	3	15
13	რეზინის ჩაქუჩი პატარა	44512300	10ც	2,80	28
14	შვეული	44512000	5ც	4	20
15	ხერხი ხელის 812 (რკინის)	44511500	6ც	8	48
16	საჭრელი ქვა 125მმ	44512100	5ც	1,80	9
17	ბრტყელტუჩა	44512200	22ც	5,50	121
18	თარაზო	44512000	5ც	12	60
19	ჩაქუჩი 500გრ	44512300	5ც	5,50	27,50
20	ქაფჩა პატარა	44512000	5ც	3	15
21	შპატელი	44512000	8ც	2,50	20

22	საბურღი ნაკრები	44512900	1ც	15	15
23	შპატელი 350მმ	44512000	5ც	5	25
24	საფხეკი ინსტრუმენტი (შპატელი) 300მმ	44512000	5ც	5	25
25	ნიჩაბი 1.4მმ	44511110	5ც	8	40
26	თარაზო 100სმ	44512000	7ც	12	84
27	ხის სატეხი კომპლექტი	44512000	2ც	20	40
28	ბრტყელტუჩა გრძელცხვირა	44512200	6ც	4,50	27
29	ზუბილა სატეხი	44512000	2ც	4,50	9
30	ნაჯახი	44511400	2ც	11,50	23
31	ხელის ხერხი	44511500	3ც	10	30
32	სახრახნისის ნაკრები	44512800	5ც	14	70
33	ხელის ხერხი	44511500	2ც	10	20
34	ჟესტის მაკრატელი	44512000	4ც	9,50	38
	სულ:				1034,80

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

2..2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1034 (ერთი ათას ოცდათოთხმეტი) ლარს და 80 თეთრს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით..

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი არაუგვიანეს 2012 წლის 25 დეკემბრისა.

4.3 მიწოდების ადგილია: ქ. გორი ბესიკის ქ№2 ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "განთიადი"-ს შენობა.

4.4 საქონლის გადაცემის პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, სასაქონლო ზედნადებს. (ელექტრონული ვერსია)

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა..

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამი თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის გადაცემის პარალელურად მოახდინოს შესყიდული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ:სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი: გიორგი ქარელი.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშერებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,განთიადი"	შ.პ.ს. ,,გრანდ–თრეიდი"
ქ.გორი ბესიკის ქ#2	ქ. გორი ცხინვალის გზ. #8
ს.ს. ვითიბი ბანკი ,,ჯორჯია"	ს.ს ,, საქართველოს " ბანკი
გორის ფილიალი;	ცენრალური ფილიალი
ა/ა GE85VT0200000000293408	კოდი BAGAGE22
ა/ა GE80VT0200000000393408	ა/ა GE06BG0000000156251600
ა/ა GE51VT0200000053353408	საიდენტიფიკაციო კოდი; 218056804
ბანკის კოდი UGEBGE22	
საიდენტიფიკაციო კოდი: 217890192	
ტელეფონი: +995 0370 22 78 71	
+995 0370 27 99 81 ვებ-გვერდი:	
ინფო khidistavi. ge	

დირექტორი ო. დაბრუნდაშვილი _____ დირექტორი მ.ტლაშაძე _____